შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ბრძანება № 06-58

„1“ 03 2014 წ.

დაბა შუახევი

ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს #34 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“-ს (ს/ნ 247865243) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. წესდების ახალი რედაქციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭოს გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს ფრიდონ დავითაძეს (პ/ნ61010001383).

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

პროექტი

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება №--06-53
01-- ----09---- 2014 წ.
დაბა შუახევი

ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“-ს წესდებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და შუახევის მუნციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 აგვისტოს #34 განკარგულებით მონიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“-ს (ს/ნ 247865243) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. წესდების ახალი რედაქციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის უფლებამოსილება მიენიჭოს გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს ფრიდონ დავითაძეს (პ/ნ61010001383).

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

დანართი

დამტკიცებულია
შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეგლის
2014 წლის 1 სექტემბრის №06-58 ბრძანებით

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დაწესებულების სამართლებრივი სტატუსი

1. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „შუახევის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ (შემდგომ ტექსტში - სკოლა) არის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე დამოუკიდებლად ახორციელებს სპორტულ გამაჯანსაღებელ, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და პროფილურ სპორტულ საქმიანობას.

2. სკოლა წარმოადგენს ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის", ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და ,,სპორტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, და მისი დამფუძნებელია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

3. სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით;

4. სკოლა სარგებლობს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებებით;

5. სკოლა კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

6. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში, ბეჭედი, ბლანკი, შტამპი და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, ის ანგარიშსწორებas აწარმოებს სახაზინო ანგარიშიდან.

7. სკოლის იურიდიული მისამართია: შუახევი ჭავჭავაძის ქ. №3

მუხლი 2. შუახევის სასპორტო სკოლა ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. შუახევის სასპორტო სკოლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) ბავშთა და მოზარდთა ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, მათი ფიზიკური აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

ბ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

გ) სპორტის სახეობების მიხედვით სელექციის გზით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელო პროცესის ორგანიზება და მუნიციპალიტეტის ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დ) სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის), მუნიციპალიტეტის, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობების მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა.

ე) თანამედროვე საწვრთნელო პროცესის და მეთოდიკის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავებით და შესრულებით (აგრეთვე მუნიციპალიტეტის გამგეგლის მიერ დამტკიცებული სპორტული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებით) სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა.

ვ) სამინისტროს ან სხვა ორგანიზაციების რეკომენდაციით სპორტულ – მეთოდური საქმიანობის წარმოება. მონაწილეობის მიღება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტული ორგანიზაცია-დაწესებულების მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში და სხვა ღონისძიებებში;

ზ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება;

2. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სკოლა ეტაპობრივად ახორციელებს სკოლისგარეშე სასპორტო საწვრთნელო საქმიანობას სპორტის შემდეგ სახეობებში:

ა) პირველი დაწყებითი ეტაპი (ორი წელი) - საერთო ფიზიკური და დაწყებითი განათლება, რომელიც მოიცავს:

ა.ა) მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას;

ა.ბ) სპორტის საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას;

ა.გ) ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ -პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას;

ა.დ) მოსწავლე სპორტსმენის მომზადებას შესაბამისად შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად,.

ბ) მეორე (საბაზო – საორგანიზაციო. ორი წელი) ეტაპის საწვრთნელო სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

ბ.ა) პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას;

ბ.ბ) შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას;

ბ.გ) სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებას და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას;

ბ.დ) დამოუკიდებლად ვარღიშების უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

ბ.ე) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

გ) მესამე საშუალო ეტაპის(ოთხი წელი) – სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

გ.ა) წვრთნის პროცესის აქტივიზაციას;

გ.ბ) არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რალიზებას;

გ.გ) სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას;

გ.დ) მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის-უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს:

დ.ა) მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე;

დ.ბ) მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის.

3. სკოლის სასპორტო – საწვრთნელო პროცესის ძირითად ფორმებს წარმოადგენს:

ა) ჯგუფური საწვრთნელო და თეორიული მეცადინეობები;

ბ) ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და უმაღლესი დაოსტატების ეტაპებზე;

გ) სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა (როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ);

4. სასპორტო მომზადების, უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე (ვარჯიშის შესრულება) და პერიოდული (სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვ.) დაკვირვება და ანალიზი.

თავი II. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაცია

მუხლი 3. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი

1. დაწესებულების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი პროგრამის შესრულებას. დასაშვებია ალტერნატიული, ვარიანტული პროგრამებითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით სარგებლობა.

2. დაწესებულების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზაციის ფორმები აისახება შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

3. საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი მონაწილეები არიან: ბავშვები _ პედაგოგები (მწვრთნელები) _ მშობლები (კანონიერი წარმომადგენლები).

4. პედაგოგსა (მწვრთნელებსა) და ბავშვს შორის ურთიერთდამოკიდებულება აიგება თანამშრომლობის, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მისთვის თავისუფალი განვითარების პირობების შექმნის საფუძველზე.

5. დირექტორი ვალდებულია აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებამდე, მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი.

მუხლი 4. დაწესებულებაში აღსაზრდელის მიღების ზოგადი პირობები

1. სკოლაში მიიღებიან აღსაზრდელები, რომელთა ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება დაწესებულებაში აღზრდა-განვითარებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

2. სკოლაში აღსაზრდელთა მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

3. აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აუცილებელია შემდეგი საბუთების წარდგენა:

ა) დაბადების მოწმობა _ დამოწმებული ქსეროასლის სახით ან პირადობის მოწმობა-ქსეროასლის სახით;

ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ) აღსაზრდელის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება.

4. სკოლაში აღსაზრდელთა მიღების შემთხვევაში დაწესებულებასა და აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლის) შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და წინამდებარე წესდებას.

5. დაწესებულებაში ბავშვის მიღებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული და წერილობით უნდა ჩაბარდეს აღსაზრდელის მშობელს (კანონიერი წარმომადგენლს).

მუხლი. 5. სკოლის მოსწავლეთა (სპორცმენთა) უფლებამოსილებანი

1. სკოლის მოსწავლეები (სპორტსმენები) უფლებამოსილნი არიან:

ა) ისარგებლონ სკოლის სპორტული ბაზით, ინვენტარით, და სხვა ძირითადი და დამხმარე ნაგებობებით;

ბ) მოითხოვონ სკოლის საქმიანობისა და მიზნების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებული
ყველა პირობების შესრულება.

2. სკოლის მოსწავლეები (სპორტსმენები) ვალდებულნი არიან შეასრულონ სკოლის წესდებით, მათ მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობები.

თავი III. შუახევის სასპორტო სკოლა მართვა

მუხლი 6. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს დირექციას (დირექტორი, მოადგილე), პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს.

2.სკოლაში სპორტული სექციების და ჯგუფების გახსნა ხორციელდება შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის გათვალისწინებით სასპორტო სკოლის მწვრთნელთა საბჭოს წინადადებით სასპორტო სკოლის დირექტორის მიერ.

მუხლი 7. სკოლის ხელმძღვანელობა

1. სკოლას მართავს (ხელმძღვანელობს) დირექტორი, რომელსაც გააჩნია სკოლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

2. სკოლის დირექტორი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

3. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

4. სკოლის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) შემთხვევაში ან სხვა საფუძვლის არსებობისას და დირექტორისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების პერიოდში მის მოვალეობას შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავალებით ასრულებს სკოლის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 8. უფლება-მოვალეობანი

1. სკოლის დირექტორს უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცეს ბრძანებები, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სასპორტო სკოლის ყველა თანამშრომელისათვის;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები (გარიგებები), ხელი მოაწეროს ფინანსური სახსრების განკარგვასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;

გ) სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება;

დ) მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით ამტკიცებს სკოლის საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

ე) მოითხოვოს თანამშრომლებისაგან და მშობლებისგან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ვ) წარმოადგინოს სკოლა მესამე პირთან ურთიერთობაში;

ზ) თანამშრომლებისაგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლელობის შესახებ;

თ) შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით, მშობელთა მოთხოვნების გათვალისწინებით დაამტკიცოს სტანდარტს ზევითი დამატებითი მომსახურების ნუსხა და ღირებულება;

ი) საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგოს სკოლის საკუთრებაში არსებული ქონება, თუ ქონების განკარგვა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებასა და მიზნების (ამოცანების) განხორციელებას;

კ) არასაბიუჯეტო შემოსავლების არსებობის შემთხვევაში შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენოს სახსრები სახელფასო დანამატებზე, პრემიების და ჯილდოების გაცემის მიზნით;

ლ) განახორციელოს მისთვის მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სკოლის დირექტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსა¬ზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა პედაგოგებთან (აღმზრდელებთან), მედპერსონალთან და ბავშვის მშობლებთან უშუალო კავშირში;

გ) დირექტორი ვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგინოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ, (ყოველკვარტლური და წლიური) ყოველი წლის და კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;

დ) სკოლის სახსრების ეფექტურად განკარგვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს შუახევის მუნიციპალიტეტის ორგანოებთან;

ე) დაიცვას საქართველოს და საერთაშორისოს კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები;

ვ) შექმნას ბავშვებისათვის შესაბამისი პირობები;

ზ) უზრუნველყოს შესაბამისი რეჟიმის დაცვა;

თ) მშობლის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას სკოლის წესდება და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჯაროა.

3. პედაგოგი (წვრთნელი) შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება (ცენზი).

4. პედაგოგს (წვრთნელს) უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საქმიანობაში;

ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;

გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა;

დ) მიიღოს გაწეული სამუშაოსათვის შესაბამისი ანაზღაურება.

5. სკოლის პედაგოგი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა;

გ) საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

დ) უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობისათვის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ე) დაიცვას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული ბავშვთა უფლებები.

6. მშობელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მსვლე¬ლობის შესახებ და/ან მიიღოს მონაწილეობა მასში;

ბ) ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ინფორმაცია სკოლაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით;

გ) მოითხოვოს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საჯარო დოკუმენტების ასლები;

დ) მოითხოვოს ბავშვთა უფლებების დაცვა.

8. მშობელი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს სკოლის კოლექტივის შრომას და ითანამშრომლოს მასთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 9. პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს ფუნქციები

1. სკოლის პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი (მწვრთნელი).

2. პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭო:

ა) სკოლის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სასპორტო სკოლის სასწავლო და სასპორტო – საწვრთნელ გეგმას;

ბ) სკოლის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლაში სპეციალური ჯგუფებისა და სექციების გახსნისა და ლიკვიდაციის შესახებ.

გ) მონაწილეობს წლის შედეგების განხილვაში

თავი IV. დაფინანსება, სახელმწიფო კონტროლი და საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 10. შუახევის სასპორტო სკოლის დაფინანსების წყაროები

1. სკოლის დაფინანსების წყაროებია:

ა) დაწესებულების საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.

ბ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, გრანტი, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, სხვა სახის ფინანსური დახმარება;

გ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული შემოსავლები;

დ) სპორტულ – მასობრივი ღონისძიებების ჩატარებიდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 11. შუახევის სასპორტო სკოლის საქმიანობის კონტროლი

1. სკოლის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სკოლის კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში არის შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

3. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

4. სკოლას მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს და მის ძირითად საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

მუხლი 12. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სკოლას მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებითი უფლებით დატვირთვა;

ბ) ისეთი გარიგებების დადება, რომელიც გულისხმობს ფინანსური ვალდებულებების აღებას;

გ) სხვა გადაწყვეტილებები შუახევის სასპორტო სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 13. საბუღალტრო ანგარიშგება და კონტროლი

1. სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

2. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს სკოლის საფინანსო კონტროლი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდააუდიტის სამსახურის ან დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით;

მუხლი 14. შუახევის სასპორტო სკოლის ქონება

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, შუახევის სასპორტო სკოლის ქონებას წარმოადგენს მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემული შენობა-ნაგებობანი, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 15. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სკოლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამგებელი ტარიელ ებრალიძე